



№ 245
(3222)

20

1966 წ.
დეკემბერი.
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საზოგადოების ორგანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ი წელი

37 შინა

გუშინ თბილისის სპორტის
სასახლეში დაიწყო საქართვე-
ლოს ხელბურთჭამის მსოფლიო
ვისადმი მიძღვნილი საერთაშო-
რისო ტურნირი. ასპარეზობაში
გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა
გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მიერ
დაწესებული პრიზი.
I ტურის შედეგები ასეთია:
სსრ კავშირი — საქართველო
14:15 (8:6), იუგოსლავია —
უნგრეთი 15:19 (9:9).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საზოგადოების პრეზიდიუმისა
ანსანაგ ლეონიდ ილიას ქე ბრძანებისათვის
საკუთარი კავშირის მემბრის ფუნქციის მინიჭების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის თავ-
დაცვისუნარიანობის განმტკიცებაში კომუნისტური
პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე თვალ-
საჩინო დამსახურებისათვის და დიდი სამამულო ომის
ფრონტებზე გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღ-
მდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად,
მიენიჭოს ამსანაგ ლეონიდ ილიას ქე ბრძანების
დაბადების საშუალო წლისთან დაკავშირებით სსრკ-ში
პროფკავშირის მემბრის ფუნქცია და გადაეცეს ლეონიდის
ორდენი და მედალი „მძროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოვტოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1966 წლის 18 დეკემბერი.

სახელოვანი იუბილე

„პიონერს“ 40 წელი შეუს-
რულდა. სახელოვანი გზა განე-
ლო ქართველი ბავშვების საყვარ-
ელმა შურნალმა. დაარსებიდან
დღემდე იგი ჩვენს ახალგაზრ-
დობას უნერგავდა მაღალ იდე-
ებს, ზრდიდა კომუნისტური სა-
ზოგადოების მომავალ მშენებ-
ლებად, საბჭოთა ქვეყნის პატ-
რიოტებად.

შურნალი სისტემატორად აქ-
ვეყნებდა წერილებს ფიქტულ-
ტურასა და სპორტზე, რამდენა-
დაც მომავალი თაობის ყოველ-
მხრივი განვითარებისთვის ზრუ-
ნვა ერთ-ერთ უპირველეს მოვა-
დებლად მიიჩნდა.

გაზეთი „ლელო“ მხურავლედ
ულოცავს შურნალ „პიონერს“
იუბილეს და უსურვებს კვლავ-
ც ნაყოფიერ საქმიანობას,
კვლავაც წარმატებას ჩვენი
ახალგაზრდა თაობის კომუნის-
ტური აღზრდის საქმეში.

თბილისელები | ადგილები

თბილისში ორ დღეს მიმდინარებო-
და ჩვენი დედაქალაქის, ბაქოსა და ერე-
ვნის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრ-
ებები გუნდების ამსანაგური შეჯიბრება.
გუნდური ასპარეზობა თავიდანვე წარ-
მართა ბაქოელი და თბილისელი ტან-
მოვარჯიშეების უპირატესობით. ორთა-
ბრძოლა ჩვენი სპორტსმენების გამარჯ-
ვებით დამთავრდა. ერევენელები შედარ-
ებით სუსტად იყვნენ მომზადებული
და III ადგილს დასჯერდნენ.

უფრო დაბაბული და საინტერესო
გამოდგა პირადი პირველობა. პირველ
დღეს სამი საგადადებელი ვარჯიშის
შესრულების შემდეგ 26,2 ქულით და-
წინაურდა ბაქოელი გ. აირაპეტოვა,
რომელსაც 0,1 ქულით ჩამორჩა ლ. ლა-
ბტევა. 25,7 ქულით III ადგილზე
იყო მ. ჩინლაძე (ორივე — თბილისი-
დან). ბურთით საგადადებელი ვარჯი-
შის შესრულებისას დაშვებულმა შეე-
დომებმა V-VII ადგილებზე გადასწია
თბილისის გუნდის ლიდერები ე. როყვა
და ლ. ავანესოვა. შეჯიბრების მეორე
დღეს პირველად ბაქოელმა ტანმოვარ-
ჯიშეებმა შესრულეს ნებისმიერი ვარ-
ჯიშები. მათგან საუკეთესო კვლავ გ. აირ-
აპეტოვა იყო, რომელმაც საგნით და
უსაგნოდ თანაბარი სიძლიერით ივარ-
ჯიშა და 9,35-9,35 ქულა დაიმსახურა.

საბოლოო ჯამში აირაპეტოვამ 54,05
ქულა მოაგროვა, სპორტის ოსტატის
ნორმა შესრულა და პირველობისთვის
მებრძოლთ სათავეში ჩაუდგა. 53,6 ქუ-
ლით მეორე ადგილზე იყო ლ. აირა-
პეტოვა, მესამეზე — ნ. მაქსიმოვა —
53,45 ქულა (სამილ — ბაქოდან).

კარგად შესრულეს ნებისმიერი ვარ-
ჯიშები თბილისელებმა ლ. ავანესოვამ,
მ. ჩინლაძემ, ლ. ლაბტევამ და ე. როყ-
ვამ, რომელთაგან განსაკუთრებით გა-
მოირჩეოდა როყვა. მან საგნით ვარჯიშ-
ში 9,65 ქულა დაიმსახურა, უსაგნოდ
— 9,60. ეს ამ შეჯიბრების საუკეთესო
შედეგი იყო. საბოლოოდ ე. როყვამ
54,05 ქულა დააგროვა და I-II ადგი-
ლები გაიყო ბაქოელ გ. აირაპეტოვასთან.
III ადგილზე 53,8 ქულით გავიდა ლ.
ლაბტევა.

ი. იუნავენი.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. როყვა საგნით
ვარჯიშისას.
ფოტო ავტორისა.



რესპუბლიკური კონკურსი

საქართველოს ალკ ცენტრალურ
კომიტეტის, რესპუბლიკის სპორ-
ტკავშირისა და საქართველოს მი-
ნისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის
სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვე-
ტილებით 1966-1967 წელს ჩატარ-
დება საბჭოთა სახელმწიფოს 50
წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვ-
რული, დოკუმენტური და სამეც-
ნიერო-პოპულარული სპორტული
ფილმების ლიტერატურული სცენა-
რების რესპუბლიკური კონკურსი.

კონკურსში მიიღება სცენარები,
რომლებიც ადრე არ გამოქვეყნებულ-
ა. ფილმში სცენარა უნდა წარ-
მოადგინოს ერთ ცალად ქართულ

ენაზე, სათანადო დევიზით. იგივე
დევიზი იწერება ცალკე კონვერტ-
ზე, რომელშიც უნდა იყოს ავტორის
საგვინტო ბარათი: გვარი, სახე-
ლი, მამის სახელი, საცხოვრებელი
და სამუშაო ადგილის მისამართი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის
დადგენილია შემდეგი პრემიები:


**მხატვრული ფილმების სცენა-
რისთვის.** 1 პირველი პრემია —
500 მან. 2 მეორე პრემია — 300
მან (თვითთულს), 2 მესამე პრემია
— 200 მან (თვითთულს).

დოკუმენტური, სამეცნიერო-


**პოპულარული ფილმების სცენა-
რისთვის.** 1 პირველი პრემია —
300 მან, 2 მეორე პრემია — 250
მან. (თვითთულს), 2 მესამე პრემია
150 მან. (თვითთულს).

საუკეთესო სცენარები რეკომენ-
დებულ იქნება დასადგმელად.
კონკურსის შედეგები (იგი 1967
წლის 15 თებერვლისთვის შექამდე-
ბა) გამოქვეყნდება პრესაში.

კონკურსში მონაწილეობის მსუ-
რველმა სცენარებმა შემდეგი მი-
სამართით — უნდა გამოგზავნონ:
თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 4, საქ-
სპორტკავშირის საორგანიზაციო
განყოფილება. კონკურსისთვის.



თბილისში სტუმრად
იმყოფებოდა აზერბაიჯან-
ის მოკრივეთა ნაკრები
გუნდი. კვირას იგი ამბა-
ნაგურ მატჩში შეხვდა
მასპინძლებს — საქართვე-
ლოს უძლიერეს მოკ-
რივეებს. ანგარიშით 7:8
გამარჯვეს საქართვე-
ლოს ათლეტებმა. სურათზე
(მარცხნივ) აღბეჭ-
დილია მეორე საშუალო
წონის მოკრივეთა მ. მა-
მთავრიშვილისა და ს.
რაგიშვილის ორთაბრძო-
ლის მომენტი. შეხვედრა
დროზე ადრე მოიკო ქა-
რთველმა ოსტატმა. II
რაუნდში მსაჯებმა აშკა-
რა უპირატესობისთვის
მას გამარჯვება მიაკუთვ-
ნეს. ბაქოელი მოკრივე
ორჯერ იყო ნოკდაუნში
— პირველად ბრძოლის
დასაწყისში, ხოლო მეო-
რედ — II რაუნდის და-
სასრულს.



ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა საქართველოს უძ-
ლიერეს ათლეტთა პირადი პირველობა კლასიკურ ჭილაობაში. ასპარეზო-
ბა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქი მონაწილეობ-
და, ჩატარდა საინტერესოდ და დამაბულად. ქვემსუბუქ წონაში თავი
ისახელა ხალჩის ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა ო. ევაქემ. მან დამაჯ-
რებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.
სურათზე თქვენ ხედავთ ევაქისა და თათაროვის შეხვედრის მომენტს.
ვეტერანს კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს მეტოქე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ორივე შეჯიბრების ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნო-
მერში).

პრესულაშენი ნარკოტიკების საწინააღმდეგო



რას გვითხვით პარხნის დიკამტორი?

მახ წინაშე რედაქციამ სიგნალი მიიღო: მას შემდეგ, რაც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი პარხნის დირექტორად შ. ჩიქოვანი დანიშნეს, სპორტკლუბ „გამარჯვებულში“ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა დაქვეითდა, დირექცია წერტილისა და შეჯიბრებების მონაწილეობის პირობებს არ გვიქმნის, საქართველოს ფიზკულტურის კოლექტივების სპარტაკადისთვის სამზადისი ჩაშლის პირზეა. არქა, გვიხედეო, — გვერდენ წერილის ავტორები.

კოლექტივი ასეთი იყო...

კოლექტივი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ჩაებნენ სპორტული კლუბის სახელის მოსაპოვებლად გაშლილ მოძრაობაში და მიზანსაც მიაღწიეს. მას შემდეგ ამ კოლექტივს სპორტკლუბი „გამარჯვებულში“ და კიდევ ამარტოებს სახელს — ქარხნის მოცულობები, ველოსიპედისტი, ძალისხმევის საქართველოს ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკადისთვის მუდამ იმარტოებდნენ, საკავშირო სარბიულზე წარმატებით გამოდიოდნენ და არც სხვა სპორტებში (ფეხბურთში, ხელბურთში, კალათბურთში და ა. შ.) უდებდნენ ტოლს მეტოქეებს.

მარტო შარშან ამ კოლექტივში 44 სპორტის ოსტატი, კანდიდატი და პირველთაინი მთავრად. მთავრად კარხანაში 22 სპორტის ოსტატი, 116 ოსტატობის კანდიდატი და პირველთაინი რიგისა. სპარტაკადისთვის, რომ ყველა 18 სასტობის სექციას, უმეტესად, სპორტკლუბის ფიზკულტურელები უძღვებოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

„გამარჯვებულში“ კარგა ხანა შეეცაბა სპორტის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკადისთვის სამზადისსაც, ფიზკულტურელებმა დიდი შრომა გასწიეს სპორტკლუბის მოსამზადებლად, საკურო აუზის გათბობის მოსაგვარებლად, ნაერტი გუნდების დასაკომპლექტებლად, და ქარხნის დირექციის მხარდაჭერასაც ელოდნენ. მაგრამ...

... ახლა ახლა სპარტაკადი...

გადავხედოთ მძლეობას, მძლეობას, ველოსიპედისტი, მოცურავეთა და ტანმთავარიშეთა საქმიანობას, ეს სახეობები სომ ფიზკულტურული კოლექტივის სპარტაკადის პირობებშია შეტანილი!

ველოსიპედისტებს საყვედური არ ექნოთ, გსატყვილზე ვარჯიშობენ და სხვა ბაზა არ სჭირდებათ. გუნდიც ძლიერია და ინვესტირაც აქვთ — წლეულს 9 ველოსიპედი შეიძინეს.

სპარტაკადისთვის ძალისხმევი კარგად უმზადებიან, რესპუბლიკის საუკეთესო ძალისხმევი უმეტესობა ასევე თითქმის კიროვის ქარხანაშია თავმოყრილი. ისინი არა თუ საქართველოს სპარტაკადში გამარჯვებისთვის, სსრ კავშირის სპარტაკადში საპრიზო ადგილის მოპოვებისთვისაც იბრძობდნენ.

ამ წლის წინათ ქარხანაში შეიქმნა ტანმთავარიშის სპორტკლუბი, რომელშიც 60 ბავშვი გაერთიანდა. დირექცია ნორმებს დარბაზის ავეჯს დაპირდა, მანამდე კი ახარ მე-15 საშუალო სკოლას შეაფარეს. საყოფიერად ვარჯიშობდნენ და ზეგრი ნიჭიერი სპორტსმენები გამოვლინდა. მაგალითად სკოლის ზუთმა არხარდელმა I თანრიგის ნორმა შეასრულა.

მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობამ დასაპირებელი ვერ იქნა და ვერ შეასრულა. სკოლის დარბაზი კი ძალზე გადატვირთული იყო და ტანმთავარიშეთა ჯგუფებმა თვლიდნენ იწყეს დნობა. შარშან მე-15 სკოლის დარბაზში ქარხნის სპორტსკოლის 35 აღსაზრდელია მუცადინობდა.

ცხადია, თუ ბაზა არ იქნა, ისე ტანმთავარიშეთა მუშაობაზე ლაპარაკიც შედეგადაა. მწერთელს ა. გომარტელს უნებრე, რომ საქალაქო სპარტაკადში გამარჯვონ და რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოითხოვონ.

სპორტკლუბის რამდენიმე კარგი მძლეობანიც ჰყავს, გუნდი კი არც ისე ხანაქმობა. იქნებ კიროველებს არ უყვართ სპორტის დედოფალი? უყვართ, მაგრამ რა ქნან, როცა საწარმოს მძლეობის ბილიკებისა და სპორტობის მოწყობის საშუალება არ დაადა, „დინამოსა“ და „ლეკომოტივის“ სტადიონები კი შორსაა. ერთი სიტყვით, კიროველ მძლეობებს არც აქვთ გამარჯვების იმედი.


მაგრამ მოცურავეებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. მათი აუზი ლენინის რაიონში დიდხანს ვერადერთი ბაზა იყო, სადაც ცურვაში ტურნირებიც იმართებოდა. მერე წყალში სახტომი კომპი და ტრამპლინიები ააგეს და საქალა-

ქო შეჯიბრებებზეც მასპინძლობდნენ. კიროველები შესანიშნავად იყვნენდნენ თავიანთ საუნჯეს, რეგულარულად ვარჯიშობდნენ, მატჩებს ატარებდნენ და ძლიერი გუნდიც ჰყავდათ. მერე ქარხნის ხელმძღვანელობას სხსხვეს წყლის გათბობაც მოგვიწყეთ, აბა, სამთარში სომ ისე ვერ ივარჯიშებდნენ!

დირექციას უარი არ უთქვამს. გათბობის მოსაწყობად მუშაობა შარშანწინ დაიწყო, საქმე წელწადეგ მატჩ გატანურდა და ბოლოსდაბოლოს, თბილისის შეემატა კიდევ ერთი ისეთი აუზი, სადაც ვარჯიში სრულწლეულად შეიძლებოდა.

... ახლა, როცა სპარტაკადისთვის მზადების ყველაზე ცხარე დღეებია, როცა ყოველი ჩანლივი მყვადინეობა სპორტსმენთა მომზადებას აფერხებს, აუზს თოქულს აღარ აწყვიდენ. რა უნდათ, გათბობა საამქრობისთვისაც არ გვეთქვისო, — იმართლებენ თავს. ფიზკულტურელებმა კი საიდუმლოდ გააგანდეს — ყველფარემის სტადიონში შეამცირეს სახსრების ეკონომიის მიზნით. ასე დარჩა უაუზოდ ქარხნის ნაკრები და სპორტსკოლის 120 აღსაზრდელი.

ყოველფე შემოქმულს ერთი ფაქტიც უნდა დაეუბნათ: დიდი ხანია ქარხნის ახალგაზრდების თათნობით მოეწყო ფეხბურთის მოედანი, რომელსაც ხელბურთისა და გაჭირვებით,



მძლეობისთვის: საგარეოდაც იყვნენდნენ. დირექციის განკარგულებით, ამ ბაზაზე გამართეს... მანქანების სასწორი, როცა სპორტკლუბმა (და მერე „დინამოსმა“ ცენტრალურმა საბჭოსმა) დირექტორს შეასხვა საქართველოს კე ცენტრალური ომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 31 იანვრის დადგინდება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკადისთვის მზადების შესახებ (ეს დადგინდება საწარმოების დირექციებს ავალებს ყველა პირთა შეუქმნან სპორტსმენებს ამ სამზადისისთვის), ჩიქოვანმა განაცხადა:

— მე მხოლოდ საწარმოო გეგმები ვიცი და მეტი არაფერი.

შ. ჩიქოვანი გამოცდილი მუშაკია, — იგი მუც ყურადღებასა და გულისხმიერებას უნდა იჩენდეს ფიზკულტურელების მიმართ.

ესეც არ იყოს, კიროველთა მუცვეებს უნდა შევხსენებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ადვინტოს დადგინდება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების დონისძიებას შესახებ“. სპორტული ბაზების შექმნის ფართოდ გაშლას. მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას გუჯავლებს.

ო. ბალაშვილი, 3. ბუკია.

ხოფელ ძვერდანი საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მოძრავი მშენებელი კოლონა (სამუშაობა მწარმოებელი დ. ცერცვაძე) აშენებს კლუბ-კანტინას, რომელსაც სპორტული დარბაზიც ექნება. ახალი ნაგებობა მომავალ გაზაფხულს იქნება მზად.

მშენებლობას მუშახელით კოლმეურნეობა უსრულწლეულს. გულდადებით, საქმის სიყვარულით მუშაობენ ერთ დროს კარგი ფეხბურთელი დურგალი გ. დურული, ქართული ჭიდაობის ტრფიალი გ. ლომაძე და სხვები.

შორბედანთ უბანს, სადაც ახალი კლუბი შენდება, ამერიიდან შეიძლება ფიზკულტურული უბანი ეწყობოს. სწორედ აქა ხოფლის საშუალო სკოლაც თათნის სპორტული მოედნები. კლუბთან ახლოს, სულ რაღაც 100 მეტრის მანძილზე აწყობენ ფეხბურთის მიწის მძლეობის ბილიკებით, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნებსა და ღია საჭიდაო ხარბიებს. ნაკვეთი უკვე მოასწორეს, დობედ მივთული შეთავალებს და ირგულე ჭადრის ნერგებიც ჩაყარეს. ამას 1900 მანკი დასჭირდა. შეიძინეს საჭიდაო ლევიებიც, სპორტული ფორმებიც ფეხბურთელებისთვის. სულ კი ფიზკულტურული კოლექტივის კოლმეურნეობამ 3.500 მანკით მეტი მოახმარა. გადწყვეტილი აქვთ ცეოლიონ ფიზკულტურის შეთოდინცე.

ჩვენს კლუბაც დაუბნობთ შარხ ახალგაზრდობის სპორტული გაქანებას, — ამბობენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. ბუნრაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ბ. კეჩუაშვილი. — მომარული ვინები, თუ ჩვენი ფიზკულტურელები ამბადლებენ სპორტული ოსტატობის დონეს და თავს ისახლებენ არა თუ რაინისა და რესპუბლიკის, არამედ საკავშირო სარბიულზეც.

ფიზკულტურელები კი ამ მხარდაქვრას მხოლოდ სპორტული წარმატებით რადი პასუხობენ. არც საკოლმეურნეო მიდრებზე უდებენ ვინმეს ტოლს: ფეხბურთელი, მერტოანრიგობანი შ. სულაძე, ფეხბურთელი და კალათბურთელი ბ. ლალიშვილი, პ. ჯავახიშვილი, მძლეობანი ი. ბუნრაძე, მირველიანრიგობანი სამისტი და თაფსულალი სტილით მოქიდავე ა. ბუნრაძე, ნ. კეჩუაშვილი, მოჭადრაკე უ. კეჩუაშვილი და მრავალი სხვა მოწინავენი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. მაგალითად, შ. მუმლაძე კომ-

კავშირის ორგანიზაციის უდგახ სათავეში. წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. კოლმეურნეობაშიც მუშაობდა... ინდივიდუალურად გააბრუნებულ 0,05 მეტრზე გვერდით გათვალისწინებული 20 ცენტნერის ნაცვლად 100 ცენტნერი შექრის კარხალი მოიწია.

კოლმეურნეობის ფიზკულტურის საბჭოს კარგა ხანია საზოგადოებრივ საქმიანობებზე ხელმძღვანელობს ძვერდის საშუალო სკოლის ფიზალზრდის მანწლელებელი, წარსულში კარგი ძალისხმევი და მოქიდავე უ. კეჩუაშვილი. იგი დაუხარედა, ერთნაირი ინტერესითა და საქმის ცოდნით ამეცადინებს ფეხბურთელებს, კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, მოჭადრაკეებს, მოჭიდავეებს. სექციებში ასამდე ჭაბუკი და ქალიწვილია გაერთიანებული.

— მომავალი სპორტული ხეწონისთვის ჩვენს განკარგულებაში იქნება ახალი სპორტული დარბაზი ფეხბურთის მოედანი. შეეცდებით უფრო გავამრავალფეროვნოთ ძვერდელი ახალგაზრდების ფიზკულტურული საქმიანობა. ვარჯიშისთვის უფრო ხამთრის პირობებს გამოვიყენებთ. ამ დროს სომ ახალგაზრდები უფრო თავისუფლნი არიან საკოლმეურნეო შრომისგან, — ამბობს უ. კეჩუაშვილი.

ახლა კოლმეურნე ფიზკულტურელები კვირაში ოთხჯერ იკრიბებიან საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ნაგარეოდა. სწორედ ამ გულმოდინე შეყვადინების შედეგია, რომ თანრიგობნების მომზადების გეგმა გადამტრებით შესრულდა. მაგალითად, 11 თანრიგის ნორმატივები ორის მაგიერ სუთმა კავმა წააბარა, 111 თანრიგისა — 25-ის ნაცვლად — თოსიმეტა.

მეორეთანრიგობანი ფრენბურთელები თამაზ, ნუნუ, ნუნუარ დადანიმები, შეიანბ ლომაძე რაიონის ნაკრებში შეყვანეს. ისინი მოსწილობდნენ და საკმაოდ კარგი შედეგებიც მთავრებს სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურ თამაშებში. ძვერდელი ფეხბურთელთა გუნდმა კი რაიონის ბეგრი კოლექტივი დაამარცხა.

მევერდელი ფიზკულტურული კოლექტივი დღეს ერთ-ერთი მოწინავეა გორის რაიონში. ახალგაზრდობის მონდომება საწინდარია იმისა, რომ მომავალში კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევენ.


ი. თავერდაშვილი.

კალღონის არღავიშურებთ წერილი რედაქციას

განეთ „ლელოს“ ფურტლებზე ხშირად წავციხისაღს ასეთი შინაარხის წერილი: „ძვირფასო რედაქციო! გთხოვთ გავვიწიოთ დახმარება, რათა ჩვენს რაიონში (ქალაქში) მოვლინონ კვალიციური მწერტონელი... ჩვენ ასეთი თხოვნით არ მოგმართავთ, რადგან ხაწურში, ჭიდაობის საკმაოდ კარგი სპეციალისტი გვაყავს (გ. ბარბაქაძე). მაგრამ დახმარება მიიღვ გვიტრდება. საქმე ის არის, რომ ჩვენს მწერტონელს არა აქვს შესაძლებლობა თავისი გამოცდილება გადსცეს ახალგაზრდებს. რა გულისხმობს ეს? პირველ რიგში, საჭიდაო დარბაზს. ამჟამად ჩვენ, ჭიდაობის მოყვარულები, რკინეზის სპორტდარბაზში გვეცადინებოდა, სადაც წერტონას გალიან ავრტოვე ფეხბურთელები; ფრენბურთელები, კალათბურთელები, მკვიდის ჩოგბურთელები, ცხადია, ასეთი

სიეწროვე ხელს გვიშლის არა მარტო ჩვენ, არამედ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებსაც (დარბაზის უკარგისობაზე არაფერს ვამბობთ). საჭიდაო დარბაზის მშენებლობა არ არის რთული საქმე. თუ ამ სასარგებლო ინციდატივას ითავებს ქალაქის კომკავშირი, ჩვენ, ახალგაზრდები ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ წარმატებით დავასრულოთ იგი.

საშურის ახალგაზრდობის სახელით: თ. ფილიპი, ნ. მირაბო, პ. გომალბი, თ. გრიგალაშვილი, პ. ახალაბი, პ. სარხანი, პ. ლომიძე, პ. ბაქალბი, თ. პაპაშვილი, პ. ბუხრიბიძე, ა. სინეგაგოვი, ა. ბაქალბი, თ. მამიგოვი, პ. უბიტიძე.



სპარტაკადის მოცურავეებისთვის წლეწადელი ხეწონი მიიწვადინც უხვმოსავლიანი რიდი იყო. ერთადერთი, ვინც დიდ ხარბიულზე ისახელა თავი, ა. ტუტაკაძე ვახლდაო. 240 მეტრზე ბრახით ცურვაში მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა და საქართველოს ახალი რეკორდიც (2.29,8) დაჭარა. ტუტაკაძემა გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი 100 მეტრზე ბრახით ცურვაშიც — 1.09,1. ჩვენს ქვეყნის საუკეთესო ათლეტებში იგი შეხამაშებას, ჭიდაობის მოყვარულნი გავიდა. აღნიშნულ დისტანციაზე, საუკეთესოთა ათეულში შევიდა ავრტოვე, ა. იოაკიმიძე, მან 400 მეტრშიც ცურვაში I ადგილი დაიკავა. ეს იყო და ვე.

მაგრამ, როგორც ნაკრების ხელმძღვანელობას მიარჩია, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკადისთვის სამზადისში ჩვენს მოცურავეების ამოცანა მაღალი შედეგების ჩვენება კი არა, ტექნიკის სრულყოფა იყო. სრულად სპორტსმენთა შესაძლებლობები გაიხდა, სპარტაკადის ფინალში გამოვლინდებოდა ვნახობ! ერთი კი ცხადია: საქართველოს ნაკრები ენერგიულად ემზადება დიდი სტარტებისთვის. ამ სურათზე სწორედ მზადების ზოგირით მომენტობა აღბეჭდილი. მარტხი — მწერტონელი ი. ნათაც ესახებრება ნაკრების წევრს დ. ოსპოვას. მარტხი — ნაკრების უფროსი მწერტონელი თ. იოაკიმიძე მორიგი ვარჯიშის შერე დარბაზებს აძლევს აღსაზრდლებს.

პ. მარკანიას სსოპნიისა...

განვიხილო კვირა დღის თბილისში, არმიის სპორტკლუბის სტადიონზე დაიწყო წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, პ. მარკანიას სსოპნიისადმი მიძღვნილი თანხის გათამაშება ფეხბურთში 1949-50 წლებში დაბადებული ჯგუფებისთვის.

აღმღვთვ „სამიზნე“ და გამარჯვებს ხაერთი ანგარიშით 9:7.
სხვა შესვენებათა შედეგები ასეთია: „ნორჩი დინამოელი“ — მწვანეთა სკოლის გუნდი 4:0, გლანის ხელო-ინტერნატი — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა 2:1, თბილისის განათლების განყოფილება — „მროშინი რესურვები“ 2:0.

სურათზე: მომენტი განვილი მატჩიდან „ლოკომოტივისა“ და რუსთავის ჯგუფებს შორის. ლოკომოტიველმა ბარბაქაძემ შეორე ბურთი გააქვს მეტოქის კარში.
ფოტო: ვ. ვენაიურისა.



პირველი გიგანტური

მხნეა და სინაგლია

კვირში შეკრებილი ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მოჭადრაკე ქალები, რა თქმა უნდა, ვულის ხიღრმეში ყველაზე მეტად პრეტენდენტო ტურნირის საგზურზე ოცნებობენ, მხოლოდ ტ. სატულოვსკაია, რომელიც უკვე იყო პრეტენდენტი, დაუფარავად ამბობს ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ვარ ჩამსთლიო. მაგრამ უადრესად დაბნეულმა და დამბნეულმა ბრძოლამ საჭადრაკო სამყაროს შესანიშნავი სიურპრიზი მოუტანა.

ყველა გაახარა ნანა ალექსანდრიასა და ალექსანდრა კახლოვას მოულოდნელმა და შთამბეჭებელმა წარმატებამ. ამ ორი გოგონას სახით ჯადრკამა დიდი შემართების, ერთგული თაყვანისმცემლები შეიძინა.

ყვე არ არის, ნანა ოცნებობდა ოდესმე სსრ კავშირის ჩემპიონი გამხდარიყო. მაგრამ ამ ტურნირში მას კონკრეტული მიზანი ჰქონდა — პრეტენდენტის უფლებების მოპოვება. ამას ავალდებინა მასწავლებლის, ვასტანე ქარსელაძის სხივმა. ვასტანე ხომ მამიანიც კი ამეცადინებდა ნანას, როცა უკურნებელმა ცხინვალის სარეკლამო, რედაქტორმა, არიგებდა და დიდი პაქობისთვის აუგლიანებდა. ნანა ყველა შესვენებაში გულად უტყუებდა. მან 13 მეტოქის მეფე დააჩოქა, რაც სხვამ ვერაინ შეძლო. თვითონ კი გამარჯვება ცხადყოფდა ქართლის ოსტატის ძალასა და უმაღლეს კლასს. თუ ალექსანდრა, მთავალითადად, იდეალური, ტ. მოროზოვა და ა. კახლოვა კომბინაციურ ბრძოლაში დაამარცხა, ჯ მიკოვასა და ტ. სატულოვსკაიასთან პოზიციური თამაშისა და თავდაცვის საუკეთესო ოსტატობა გამოავლინა.

ნანას წარმატებაში წვლილი მიუძღვის ოსტატ ბ. გურგენიძესაც, რომელიც თავისი მდიდარი გამოცდილება და ცოდნა დაახმარა. ნანას ოქროს მედალი საამაყოა თბილისის პიონერთა სახალხო ჯადრკის კამინეტისთვის, სადაც ახალგაზრდა ჩემპიონი ახლაც განაგრძობს შეცდინობას, უნივერსიტეტისთვის, სადაც იგი სწავლობს და ყველა ქართველისთვის, ვისაც ჯადრკა უყვარს.

წინ პრეტენდენტო ტურნირში, მაგრამ მანამდე ალექსანდრიამ და კახლოვამ მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიოს I ჩემპიონატი უნდა მიიღონ მონაწილეობა.

არა, ამას არც კახლოვას უფლებია. მისი ნატვრა მხოლოდ ჩემპიონატი თამაში იყო.

„უსასწავროდ კმაყოფილი ვარ“, — თქვა შურამ, როცა ვერცხლის მედალი გადასცეს. იგი ღირსი იყო ამ მედლისა. კახლოვას, როგორც ჩვენს ნანას, ჯადრკა მამამ ასწავლა. 11 წლის გოგონას პირველი მეტოქეები ძმები იყვნენ. ორს, პირველი თანრიგი ავტოს, ორს — მეორე. ნიჭიერი გოგონა ერთი წე-

ლია საკავშირო ხარბილზე გამოჩნდა. მან 11 ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის ქალთა პირველობაში, სოლო 111 — პეტროსავლდის ქალთა საერთაშორისო ტურნირში.

ახლა ალექსანდრა კახლოვა 19 წლია. იგი ოსკის ნათობგადასამუშავებელ ქარხანაში მუშაობს და დაუსწრებლად სწავლობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ფრთხი შეხება ვ. კახლოვსკაიას ოცნებასაც — მან დაისაჯურა პრეტენდენტო ტურნირის საგზური.

ტ. სატულოვსკაიას კი გაუკრუვდი მიედი. პირველ 9 ტურში მან 7,5 ქულა დააგროვა, შემდეგ 10-ში კი — 5,5, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ... ბრინჯაოს მედლისთვის. ტანას საამაყოდ ილა დაერჩა, რომ მისი მეფე ვერაინ დაატყუებდა.

არ გაუმართლდათ ვ. რუბეოვას და კიდევ ბევრს, მათ შორის, ჩვენს მოჭადრაკეებსაც.

საბამოვითა ა. ჩაიოვსკაიას შედეგები, თუშა მას მეტის გაკეთება შეეძლო. ალს თამაში იქნებოდა კიდევ უფრო თვალსაჩინო, ფინიშის წლებლზე, რომ არ წავიკო. თ. გოლოვეისთან. მას ხელი შეუშალა ცუდმა სტარტმა — 2 ქულა 5-დან.

უფრო უარესად დაიწყო თამაში ე. კაკაბაძემ — ერთი ქულა ოთხიდან. შემდეგ მან თითქოს გამოსწორა მდგომარეობა, მაგრამ დროებით. ვილის არ გამოსდოდა თამაში, თუმცა ცალკეულ პარტიებში (თ. ბოიანჩიანთან, ა. მუსლიმოვთან) მაინც ასერსებდა ლამაზი ჩანაფიქრის ოსტატურ სორტებს. რა თქმა უნდა, კაკაბაძის შედეგები არ გამოხატავს მის შესაძლებლობებს.

საქართველოს ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა უდავოდ მდიდარი გამოცდილება შეიძინა. ეს თვალათივც გამოჩნდა შუა ტურნირში, როცა ციციოშვიდი შედეგადამარცხა ნ. კოციცი, ნ. მედანიკოვა და ა. მუსლიმოვა. მას არაუბნევი ვინც ახალგაზრდაა. ისიც 19 წლისა და გულბინადები შეუძლია სინამდვილე აქციოს.

XVI ჩემპიონატი დიდხანს არ დაგარავს სურნელებს. მას სწორად დაუბრუნდება ყველა, ვისაც ჯადრკაში ოცნებისა და სინამდვილის პრობლემა დაინტერესებს.

თ. გიორგაძე.

სსრ კავშირის ქალთა XVI სახალხო ჩემპიონატის საბოლოო შედეგები:	
1. ნ. ალექსანდრა	14 ქ.
2. ა. კახლოვა	13,5
3. ტ. სატულოვსკაია	13
4. ვ. კახლოვსკაია	12,5
5. ე. რუბეოვა	11,5
6. ა. ჩაიოვსკაია	11
7. ნ. მედანიკოვა	10
8. თ. იდელიჩი	9,5
9-10. თ. ბოიანჩიანი	9
9-10. ბ. რანიუ	9
11-14. თ. გოლოვეი	8,5
11-14. ტ. არჩაიუ	8,5
11-14. ტ. მოროზოვა	8,5
11-14. ნ. კოციცი	8,5
15-17. ე. კაკაბაძე	8
15-17. ე. სვეცინა	8
15-17. ა. მუსლიმოვა	8
18. ე. ბიკოვა	7,5
19. ც. კახაბრიშვილი	6,5
20. ვ. ტიხომიროვა	5

შენიშვნები მკვლევარის თაობაზე

მკვლევართაში ვაჭთა 60 მსოფლიო რეკორდიდან 48 მორბენლებს ეკუთვნის. ამ ცხრილში საბჭოთა სპორტსმენების მხოლოდ ერთ მიღწევას ვხვდებით: ამ საფხულს ა. უსტინცევი, რ. მიტროფანოვი, ვ. მისალოვმა და თ. რაიკომ ინგლისში დაამყარეს რეკორდი ესტაფეტაში 4x800 იარღზე. ეს დისტანცია კლასიკური სულაც არ გასლავთ. ოლიმპიური თამაშების ცხრილში კი ვერც ერთი საბჭოთა სპორტსმენის გვარს ვერ შეხვდებით.

ვერც გამარჯვებით დავივხვებით. საიდუმლო რაღაცა, რომ სარბენ ბოლიკეზე წარუმატებლობის გამო სსრ კავშირის ერთგულმა ნაერებმა ბოლო ხანებში რანდენიმე მწარე მარცხი იწვნია — ოქროს არც ერთი მედალი ტკიოვში, ჩაგადნა ვეროპის წლებადლე ჩემპიონატში. ვ. კუდინსკის წარმატება სტიპო-ჩეში და ლ. მიკიტეის 111 ადგილი, არც თუ დიდი სუეტია.

რა მოხდა? ხომ გვეყავა ოლიმპიური თამაშების, ვერაულ პირველობათა ჩემპიონები და პრიზორები რბენაში?

პასუხისთვის აღიარებულ ავტორიტეტებს მივმართებ.

პირველი გვესაუბრა სპორტის დამსახურებული ოსტატო ლ. შარტევი. თავის დროზე იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტიუმი იყო. დღეს კი მოკლე მანძილებზე მორბენლებს უსრდის ნაერებს.

ჩვენ უკვე გვეყავს ნიჭიერი სპორტსმენები, — თქვა მარტევი, — და მათგან საუკეთესოები ნაერებ გუნდში შედიან. ე. ოსოლენი, ე. კოსანოვი, ა. ტუიაოვი, ნ. პოლიტიკოსა და ნ. ივანოვი, როცა გნებათ, მაშინ შეუძლია 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინონ. მაგრამ მათ იზივითადად უსდებათ გამოსვლა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ჩვენი მოწინავე ოსტატები წელიწადში 10-12-ჯერ მაინც რომ ასპარეზობდნენ უცხოელ მორბენლებთან, უთუოდ, მეტ სტატისტიკის გამოიშვებდნენ. საერთოდ კი, დიდი სტატისტიკისთვის ნაერების მომზადების ჩვენი მეთოდიც, ჩემი აზრით, სწორია, — დასკვნა მარტევიმ.

მე კი ვფიქრობ, მისი მისაზრებელი საკამათოა. ჩვენი საუკეთესო სპორტიურები, ერთი და ორი კი არა, სეზონის განმავლობაში 8-10 მაინც, არც თუ იშვითად ფარავს 100 მეტრს 10,2-10,3 წამში. ბუდაპეშტში რომ ამ შედეგისთვის მიეღწიათ. ისინი ჩემპიონები თუ არა, პრიზორები მაინც გასდებოდნენ. ვეროპის პირველობაში გამარჯვებულმა ვ. მანიკამ (პოლონეთი) დისტანცია 10,5 წამში დაამთავრა. იგივე შეიძლება ითქვას 200-მეტრიან დისტანციაზე.

ლმიც საერევა ფინალამდე კი ვერ მიადწია.

ყველა ჩვენს სპრინტერს საკმაო სტატები ჰქონდა საერთაშორისო ტურნირებში, ყველა კარგად იცნობდა თავის მეტოქეებს. საქმე შეჯიბრებათა რიცხვი როდია.

საშუალო დისტანციები. ვეროპის ჩემპიონმა 800 მეტრზე რბენაში, ეს მანძილი 1 წუთსა და 45,9 წამში დაფარა. VIII შედეგი 1.47,9 იყო. სსრ კავშირის რეკორდი კი — 1.46,9. საბჭოთა მორბენლები ფინალში ვერ გავიდნენ. „სემსტადიონზე“ დასველეთვერმანელმა მიტეშტრევიმ ბ. ტიუმბერმა 1500-მეტრიანი დისტანციის გარბენას 3 წუთი და 41,9 წამი მოახლოა. ო. რაიკოს საკავშირო რეკორდი — 3.38,7. მ. ვილტმა 3 წუთსა და 40 წამზე უკეთესი შედეგი აჩვენა. ვეროპის პირველობაში საბჭოთა მორბენლები ისევ ვერ მოხვდნენ ფინალში.

სიტყვას ვაძლევთ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ს. ვაკუროვს. იგი საშუალო მანძილებზე რბენის დიდი სპეციალისტია და დიდხანს მუშაობდა ნაერებში.

— საშუალო დისტანციაზე მორბენალი ადრეული ასაკიდან უნდა მოამზადდეს. ამასთან, დატვირთვა და წვრთნის ინტენსიურობა თანაბრად და განუსრულად უნდა მატულობდეს. ჩვენი მიტეშტრევიმდამ არც ერთს არ დაუწვია ვარჯიში 10-12 წლიდან. ჩემი დრმა რწმენით კი, მორბენალი სწორედ ამ ასაკში იწყებს ჩამოყალიბებას. მწვრთნელმა, რომელიც ათობით მძლევს ოსტატის მოყვარულ ბავშვთან მუშაობს, იმთავითვე უნდა შეარჩოს დატვირთვის ფორმა და მოცულობა.

როგორც წესი, სსრ კავშირის ნაერების მწვრთნელებს საშუალო მანძილებზე ნიჭიერი მორბენლები ძალზე გვიან „უგარდებთ ხელთ“. — განაგრძობს ს. ვაკუროვი. — დამასხიათეშულია 800 მეტრზე რბენაში რეკორდმენის ვ. ბულიშევის მგალით, საშუალო დისტანციებზე ერთადერთი საბჭოთა მორბენლისა, რომელმაც ვეროპის ჩემპიონატი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბულიშევის სპორტული კარიერა კრივით დაიწყო. მძლევს ოსტატის მწვრთნელმა იგი სულ მოულოდნელად შეიძინა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეობა მასობრივი კროსის დროს. ბულიშევი კი მაშინ არც თუ ჯაბუკი გახლდათ. იგი იძულებული იყო ბევრი ქალაქი და ბევრი აღმზრდელი გამოეცვალა. ბულიშევის სპორტული გზა რომ სუბეგად წარმართულიყო, იგი უთუოდ მსოფლიო კლასის ვარსკლავი გახდებოდა. მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში არაინ მომავალი სწვლები. მხოლოდ საჭიროა უფრო აზრინად ვეძებოთ და ნეტე მწვრთნელები ვზარდოთ ისინი.

— დიახ, შერჩევა და მრავალწლიანი მუშაობა მართლაც მთავარია სტატისტიკის მომზადებაში. — ამბობს ნ. პულოვი. სსრ კავშირის ნაერების მწვრთნელი ვრძელ დისტანციებზე რბენაში, წარსულში ჩინებული მძლევსაა. 1958 წლის ვეროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. — საკმარისია გავისწავლოთ, რომ ვ. კუვი და პ. ბოლოტნიკოვი უკვე არმაში ვზიარნენ რბენას, რომ ნ. დუტოვი ვერ თხილამურებზე ვარსდებოდა და მხოლოდ 20 წლისა დადგა. პირველად მძლევსურ ბილიკეზე.

სადვო არაა, რომ ბევრი უცხოელი სტატიერი, მათ შორის, რ. კლარკი, რბენაში ვარჯიშს საკმაოდ გვიან შეუდგა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, — ამბობს პულოვი, — ადრე რომ დაეწყით, მათი წარმატება კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

საუბრით ვეთანხმები ვაკუროვისა და პულოვის მსჯელობას. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ამ ბოლო ხანებში გაქრა მორბენლების შერჩევა. მომზადების და ნორმებთან ვეგმანობიერი მუშაობის ზუსტი სისტემა. ეს იწყებს მარცხს დიდ მძლევსნობაში. რას მოგივლით მომავალი? ვფიქრობ, მას ოპტიმისტურად უნდა ვუყუროთ. 1967 წლის I იანვრიდან 46 სპეციალისტულ მძლევსურ სკოლაში დიდი წვებენ მუშაობას გამოკლიო მწვრთნელები. თვითველ სკოლაში 500-600 მოსწავლე იქნება. ეს მომავალ ოლიმპიელთა აღზრდის კარგი ბაზაა. ჩვენი ქვეყნის 80 ქალაქში იქნება ოლიმპიური მომზადების ჯგუფები, რომლებშიც სტატიერი ახალგაზრდათა ჩაირიცხა. როგორც მძლევსურ სკოლებში, ისე ამ ჯგუფებში მომეცადინეთა უმეტესობა მორბენალია. დაასრულა, წლებს მწვრთნელებს პირველად მიეცათ შობაძლებლობა ენახთ ახალგაზრდა მორბენლების ოსტატობა ჯაბუკთა საკავშირო პირველობის დღეებში. ეს პირველობა ამერიკიდან მოსწავლეობა საკავშირო სპარტაკიადს შეეწყობება. 1972 წლის ოლიმპიადისთვის საბჭოთა მძლევსნების ნაერები გუნდი ალბათ ძლიერი მორბენლები შეიქმნება.

რა გილონთ მექიკის თამაშებითვის? ამ კითხვზე სპეციალისტებმა ვერ მიპასუხეს. ალბათ, ცხოვრებამ მათ სიფრთხილე ასწავლა. ვფიქრობ, რბენის რამდენიმე სასეთაში ოლიმპიური მედლების იმედი უნდა ვიქნით. 4x100 მეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა სპრინტერები ტრადიციულად ძლიერი არიან. ახალგაზრდა სპორტსმენებს ლ. მიკიტეის, ა. მაკაროვის (სტატიუტის რბენა), ვ. კუდინსკის, ა. კურიანის (სტიპო-ჩეში) კი უფლება აქვთ კეთილბოლოდითი ოლიმპის მძლევსურ განაცხადინ პრეტენზია. არ გამიკვირდება, თუ მხობის ოლიმპიადამდე გამორბეობიან მორბენლები, რომლებიც მადლომითან პირბეობიკ თამაზად შეგბროლებიან ვისაც გნებათ. 1968 წლის თამაშებისთვის მსაღება დღეიდანვე საჭიროა.

მწვრთნელებს, რომლებსაც ვესაუბრე, ჩემი აზრით, აქვთ სრულიად საამოლოანი პრეტენზია სპორტსოფადობათა და უწყებათა მიმართ, უფრო საკუთარი ინტერესებისთვის რომ სრუბანენ, ვიდრე ნაერები გუნდისთვის. სასოფადობათა და უწყებათა მოვალისცივან შეჯიბრებებს იქამდე მივყავართ, რომ ხშირად ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები ძირაქთამოცლილი ებნებიან სეზონის ძირითად სტარტებში — დიდ საერთაშორისო ტურნირებში. უდიდესი საშეიბრებო და საწვრთნელი დატვირთვა დიდ გვემართება მითითხვას, რასაც ვერჯერობით ვერ მივალწით. ეს წმინდა შინაური, შეიძლება, კერძო პრობლემაა, მაგრამ მათზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ვთქვა — თუ რა აუღლებთ ამჟამად მძლევსნობის საკავშირო ფედერაციის, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს.

მათ, ვისაც სსრ კავშირის ნაერები გუნდის ორგანიზაცია და მომზადება ევალებათ, კარგად იციან რაზე უნდა იმუშაონ. იციან ნაკლიანებებიც და დაიწყებს სრუნება მათი აღმოფხვრისთვის. ეს მკაერებს, რომ მორბენალთა საბჭოთა სკოლის დიდება, რომელმაც ტიკიოსა და ბუდაპეშტში ვლგარება დაკარგა, ვეღავ აღსდგება. ამას კი მოქუვება საერთო წარმატება მძლევსნობაში.

ა. ავდუღანი, ვურხალ „ლოკოკია ატლანტიკის“ მთავარი რედაქტორი.

მეგობრებო მატჩი

გაიხად, საფხულში, ლენინგრადში მიეწყობა მოსწავლეობა საკავშირო სპარტაკიად, რომლის პროგრამაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ჯადრაკიაცა შეტანილია.

საქართველოს ჯამუკ მოჭადრაკეთა გუნდი ბეჯათად ემზადება სასაუბნის-შეგბლო შეჯიბრებისთვის. გუნდის წევრი ჯამუკები და ჯოგონები მრავალ შეჯიბრებაში მონაწილეობენ. განსაკუთრებული გვაქვს მომე რესპუბლიკების თანატოლებთან ამხანაგური მატჩების სხვა სახეობებში.

აქამ წინათ მოწყევი პირველი მატჩი თბილისში სომხეთის გუნდთან. შეჯიბრება გაიმართა 8 დღეაზე, ორ წრედ. თვითველ გუნდს შეეძლოდა 6 ჯამუკი და 2 გოგონა (ახეთივე შემა-

დგენლობით გუნდები წარსდებიან სპარტაკიადში). მატჩმა ცხადყო ჩვენი მოჭადრაკეების აშკარა უპირატესობა. პირველ წრეში მათ გამარჯვებს ანგარიშით 5,5:1,5, სოლო მეორეში — 5:3. ამრიგად, მატჩის საბოლოო შედეგია 11,5:4,5. საქართველოს მოჭადრაკეთა სასარტყელოდ.

ა. ავდუღანი, ვურხალ „ლოკოკია ატლანტიკის“ მთავარი რედაქტორი.

გაზიერობით, მიხედავ...

„ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ ვცადე წარმოემდგინა ჩემი უკანასკნელი საერთაშორისო სტარტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გინებით ვიყავი მზად მასთან შესახვედრად, გული კი მეურჩებოდა. ჩემმა ცრემლებმა მევე გამოიყვანა“. ეს სიტყვები ეკუთვნის მიხედავს ფაზის, შენაინიზა ფრანგ სპორტმენს, მსოფლიოსა და ევროპის არარტისტის რეკორდმენს გრძელ დისტანციებზე. ახლანდელ საბჭოთადად პარტი, ახლანდელ პოლონეთის ყოველკვირეულმა „სპორტოვცემ“ გამოაქვეყნა წერილი ვანტოქელ მორბენალზე. გთავაზობთ ამ სტატიას.



გამხდარი ჩერა ბიჭი სამხარეულოში შეიპარა. თბილისი, მკურდროვანა, ყვავის სუნი ტრიალემს. აქაც ისევე, როგორც მალაროვლთა დასახლება უანის ყველა სხვა სახლში; სწავრისე კარისკენ მკაცრი მოსვლა კალი ისევე და ბიჭს ფრანგულად კი არა, პოლონურად ტუქსავეს.

— ისევე გასაყვადობენ, მიხედავ, რას ფიქრობ? სკოლიდან გამოგადგებენ და არც მალაროში მოგვყვინ სამუშაოს.

— ბებია, ჩემი ბრალი არ არის. — თავის გამართლებას ლამობს ბიჭი და ცრემლებით დასძინდა. — არ მინდა მალაროში მუშაობა, არ მინდა მიწაში ჩაბრძოლა.

ზოგჯერ ეს არ ენებს. მისმა ქმარმა იუზეფმა ხომ სწორედ მალაროში სამუშაოდ მოაშურა საფრანგეთს პირველი მსოფლიო ომით დანგრეული პოლონეთიდან. მიხედავს მამაც ქვანახშირს ამტარებდა, ვიდრე შეეძლო. ეგვიპტე არ იყო, იქ ხომ პოლონელი კაცი ვერც იტყვებოდა სხვა სამუშაოზე.

მაგრამ მიხედავს გადაწყვეტილება ურყევი იყო. იქნებ შემთხვევაც დაეხმარა. დაწყებითი სკოლა რომ დაამთავრა, პარიზს გაემგზავრა დედასთან, რომელიც ერთ პატარა რესტორანში, სწორედ სპორტული გაზეფის „ეკიპის“ პირდაპირ მუშაობდა მიმტანად. ყველა სპორტული რეპორტიორი „ვიე გოლუაში“ ხაილოვდა. ამ რესტორნის ხშირი სტუმრები იყვნენ გაზეფის მთავარი რედაქტორი გ. მეიერი და მისი მოადგილე მ. ანსენიცი.

ასე დაიწყო პიგმალიონის ლეგენდის სპორტული ვერსია.

ათი წელი ელოდა საფრანგეთი დიდი ჟიულ ლიადემიეს შემცვლელს. დაასლოებით ამდენივე ხანი გავიდა

მარსელ ანსენის ბრწყინვალე გამარჯვებებიდან მიხედავს ფაზის ტალანტის გამობრწყინებამდე.

ფაზის სპორტული ბიოგრაფია 1949 წლის 24 ნოემბერს დაიწყო. იმ დღეს მიხედავს მისმა მეგობარმა — ჟ. მარსენმა უთხრა, — 3-კილომეტრიან კროსს ვერასოდეს გაუძლებ. მიხედავს კი იოლად მოიგო მორბენალთა შეჯიბრება. მეორე დღეს „პარიზემა“, ჟურნალმა, რომლის თაოსნობითაც შეჯიბრება ჩატარდა, დაბეჭდა გამარჯვებულის სურათი წარწერით: „იქნებ იგი თქვენს სახელგანთქმულ კაცს გახდეს?“

მიხედავს გემო გაუგო დიდებას. კვლავ გავიდა პარიზელზე და ისევ გაიმარჯვა. იგი კლუბ „ბილანკურის“ მწვრთნელს, რენე ფრანსინელის წარუდგინეს.

მოგებას წაგება ცვლის, წაგებას — მოგება, მაგრამ მიხედავს ყოველი შეჯიბრების მერე ცუდადაა. გული მისდის. ფრანსინელს გამოცდილ თვალს არ გამოჰპარავია ჭაბუკის ნიჭიერება. დიდი ჯაფა დააღვა, ვიდრე მას სისტემატურ წვრთნას მიაჩვენდა. მიხედავს ბევრჯერ დაიფიცა, ჩემი ფეხი აღარ იქნება პარბენ ბილიკზე, მაგრამ მწვრთნელმა ბევრჯერ გადაათქმევინა სიტყვა. ერთ-ერთი წერილის სათაურიცაა თვალში: — „ფრანგები ვერასოდეს ეღიბებიან ასალ ლიადემის“. ეს გარდატეხის დღე იყო.

გადის დრო, მიხედავს ყოველი შეჯიბრებისთვის გულდაგულ ემზადება, ყველაფერს წინასწარ ამუშავებს, სწავლობს. იგი ძალიან შეიცვალა ფიზიკურად და პარიზელები სურბობენ, მუსიე 100 ათას ვოლტად. წოდებული მომღერალი ჟილბერ მეკო ამ მორბენალთან ჯიბის ფარანივით უფერული ჩანსო.

და მართლაც, ფაზი სასევა ენერგიით. მას შეუძლია ხუთშაბათს მოსკოვს გაფრინდეს და იქ გამოვიდეს რომელიმე შეჯიბრებაში, პარასკევს პარიზში დაბრუნდეს, შაბათს კი ხელახლა აიღოს სტარტი. მას არც დიდხანს ძილი სჭირდება, არც დიეტა, იმდენს აჭამს და ჭამს, რამდენიც სურს.

მიხედავს ფაზი საფრანგეთის არარტისტის ჩემპიონია, ზედიზედ ამყარებს ევროპისა და მსოფლიო რეკორდებს. 1965 წელს, მაგალითად, მან სამჯერ კაპუშინებმა ევროპის რეკორდი 5 ათას მეტრზე რბენაში. მისი ბოლო შედეგი იყო 13:27,6; ფაზიმ ორჯერ დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი მილზე რბენაში (3:53,6). მასვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები 3 ათას მეტრსა (7:49,0) და 2 მილზე (8:22,0), ესტაფეტაში 4x1500 მეტრზე. ფაზიმ მოხ-

სნა ევროპის რეკორდი 3 მილზე რბენაში (13:04,8).

ისტორიის ეკუთნილებაა მისი სპორტული მორალიც 1963 წელს წვრთნის დროს ჟ. ვაღუმ მიხედავს შემთხვევით მთარტყა ფეხი კოჭში. ნ სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობას შეიღდაც გაკერვა დასჭირდა. ორი კვირის შემდეგ მიხედავს კვლავ მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში. რბენის დროს ჭრილობა გაეხსნა, მაგრამ ბილიკი არ მიუტოვებია და ტკივილისგან სახელადრეცილმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მიხედავს ფაზიმ 10 წელი შეესწირა რბენას და ყოველდღიურად 25 კილომეტრს ფარავდა. აი, ასეთი იყო მისი გზა დიდებისკენ.

30 წლის რომ გახდა, მიხედავს მტკიცედ გადაწყვიტა სამუდამოდ მიეტოვებინა სპორტული სარბილი.

1966 წლის 12 ოქტომბერს, შაბათს, პარიზის „კოლომბოს“ სტადიონზე გაიმართა საფრანგეთ — ფინეთ — დიდი ბრიტანეთის მშობლანათა მატჩი. ამ ასპარეზობაში მიხედავს ფაზიმ დაამყარა მსოფლიო რეკორდი 2 ათას მეტრზე რბენაში (4:56,2). იგი პირველი იყო 5000-მეტრიან დისტანციაზე. ასე დაიწყო უკანასკნელი სტრიქონი საფრანგეთის მშობლანათის ისტორიის უბრწყინვალესი ფურცლისა.

მშვიდობით, მიხედავ...



სურათზე: ზევით (მარცხენა) — 17 წლის მიხედავს ერთ-ერთ კროსში მონაწილეობისას. ქვევით — სახელგანთქმული სპორტსმენი შეიღებთან. მარცხენა — 8 წლის პასკუალი, მარჯვენა — 7 წლის ვერონიკა.



ფეხბურთი

ჩეხოსლოვაკია, მადრიდი, ლიდაჩი

ინგლისი: 44 გოლი 10 გატანილი

გასულ შაბათს ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლონდონის გუნდები: „ჩელსი“ და „ვესტ ჰემ იუნაიტედი“. მასურებლები განუმეორებელი სპექტაკლის მოწმენი იყვნენ — მეტოქეებმა 5-5 გოლი გაატანეს! აღსანიშნავია, რომ „ჩელსის“ გარემარბმა ბ. ტემბლანგმა ანგარიშის გათანაბრება უკანასკნელ წამებზე შეძლო. „ვესტ ჰემიდან“ გოლები გაიტანეს: სოსონსმა (2), ბრებერტემა, პიტერსმა, ბერნმა. „ჩელსიდან“ — ბოლდენმა, ჰეიტლიმ, კუკმა და ტემბლანგმა (2).

ფეხბურთი

ჩეხოსლოვაკია რეპულზე უბტიცენია

ცხობილი იუგოსლავიელი ფეხბურთელი დ. შვეკუარაცკი ითვლება არა მარტო შენაინიზა სტარტეგად და ვირტუოზ ტექნიკოსად, არამედ ერთ-ერთ ყველაზე უდისციპლინო მოთამაშედაც. მიმომხილველებმა გამოთვალეს, რომ მან თავისი საფეხბურთო კარიერის ნახევარზე მეტი გაატარა დისკვალიფიკაციის გამო.

იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირმა ვერ იტანა და ვერ გადაჭრა შვეკუარაცკის პრობლემა. იგი ვერც ნაკრებმა

ტემა, რომელმაც დაამარცხა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — 4:3. საინტერესოა, რომ შეადივე გოლი გატანილ იქნა პირველ ნახევარში. მანჩესტერელთა ცენტრფორვარდმა დ. ჰერდმა სამჯერ აიღო მეტოქის კარი, ხოლო დ. ლოუმ თავური დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი გოლი. ერთი შეხვედრა უმინდობის გამო არ შედგა. დანარჩენი შედეგები კი ასეთია: „არსენალი“ — „სანდერლენდი“ 2:0, „ბლექჰული“ — „შეფილდ უენსდეი“ 1:1, „ვევრტონი“ — „ფულჰემი“ 3:2, „ლიდს იუნაიტედი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 3:2, „მანჩესტერ სიტ“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, „ნაუკასლ იუნაიტედი“ — „ასტონ ვილა“ 0:3, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ბერლი“ 1:1, „სტოკ-სიტ“ — „ნოტიუნგემ ფორესტი“ 1:2.

აი, ლიდერთა ოთხეულიც:

„მანჩესტერ იუნაიტ.“	თ. ბ. ქ.
„ჩელსი“ (ლონდონი)	21 48:27 28
„ლივერპული“	20 39:26 26
„სტოკ-სიტ“	21 36:23 25

გამოიყენა ჯერონდალ და ვერც „ცრენა ზუვდამ“, ამიტომ იუგოსლავიაში დამწვინდებით ამოიხუნტეს, როცა შვეკუარაცკმა ვერის „კარლსრუეში“ გადაბარება მოისურვა.

შვეკუარაცკმა ახალ კლუბში ისეთი ძალით დაიწყო თამაში, რომ გულშემატკივართა გრძელ გახდა. იგი ბრწყინვალე ფორმაში იყო და აუკეთესოდ ატარებდა მატჩებს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ შვეკუარაცკმა მაინც არ უღალატა თავისი სასიამო. ერთ მწვენიერ დღეს მან მოითხოვა მწვრთნელ როტოს განთავისუფლება და... მიადგია კიდევ საწადელს.

შოტლანდია: „სელტიკის“ კიდევ ერთი გამარჯვება

ქვეყნის ჩემპიონის — გლაზგოს „სელტიკის“ გულშემატკივრებს აღარც ახსოვთ როდის დაამარცხა ბოლოს მათი გუნდი. 7 თვეზე მეტა „სელტიკს“ არ წაუგია. არც შაბათს უღალატა ჩემპიონმა ტრადიციას. გლაზგოს „პარკჰელის“ მინდორზე მასპინძლებმა 6 ბურთი გაიტანეს „პარტიკ თისტლის“ კარში — 6:2, 2 გოლი გაიტანა ედინბურგის „პართ ოვ მიდლოტიენის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ვ. უოლესმა. 2 გოლის ავტორია ს. ჩალმერსი, ხოლო თითო გოლისა — ჟ. მაკ-ბრაიდა და რ. მერდოკი.

თასის მფლობელმა „გლაზგო რეინჯერსმა“ შინ მოუგო „ეიერლიო-

ისპანეთი: „რეალი“ უგავს ჩეხოსლოვაკია

კვარას, მადრიდში, ჩემპიონატის XIV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „რეალი“ და ქვეყნის ჩემპიონი „ატლეტიკო“. მე-4 წუთზე „რეალის“ ფორვარდმა პირიმ გაიტანა პირველი გოლი, ხოლო 30-ე წუთზე ჰენტიმ მეთორედ შეაჩინა „ატლეტიკოს“ კარის ბაღე. ჩემპიონმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო — მეკარე ბეტანკორის მიერ მოგერიებული ბურთი „ატლეტიკოს“ ცენტრფორვარდმა მენდოსამ „რეალის“ კარში გაგზავნა — 2:1. ამ გამარჯვებამ „რეალის“ პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა. სარავოსაში თასის მფლობელმა „რეალ-სარავოსამ“ მოუგო „ელ-

ნიენსი“ — 3:0. 2 ბურთი გაიტანა ა. სიმომა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ეიერ უნიტედი“ — „პიზერნიენი“ 0:2, „დანილი იუნაიტედი“ — „სენტ-მიკაელი“ 2:2, „დინფერმლიან ატლეტიკი“ — „დონლი“ 0:1, „პართ ოვ მიდლოტიენი“ — „ფოლკერკი“ 1:1, „მადერუედი“ — „კილმარნოკი“ 2:0, „სენტ-ჯონსტონი“ — „კლაიდი“ 2:4, „სტერლინგ ალბიონი“ — „აბერდინი“ 2:6.

აი, ლიდერთა სამეულიც:

„სელტიკი“ (გლაზგო)	თ. ბ. ქ.
„გლაზგო რეინჯერსი“	15 55:18 28
„აბერდინი“	15 48:18 24
	15 84:20 29

ისპანეთი: „რეალი“ უგავს ჩეხოსლოვაკია

„რეალი“ — 1:0. გოლის ავტორია მარსელინო. ბარსელონაში ადგილობრივი „ბარსელონას“ და „ლა კორუნიას“ შეხვედრაში ბარსელონელთა მარცხენა გარემარბმა საბალოამ 3 გოლი გაიტანა. თითო ბურთი გაიტანეს ფუსტემ და რიფემ. გამარჯვება „ბარსელონამ“ — 5:0.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ერკულესი“ — „კორონა“ 1:1, „გრანადა“ — „პონტევერა“ 1:1, „სევილია“ — „საბადალეი“ 0:0, ბილბაოს „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 2:1.

აი, ლიდერთა სამეულიც:

„რეალი“ (მადრიდი)	თ. ბ. ქ.
„ბარსელონა“	14 25:11 24
„ეიპანიოლი“	14 80:11 19
	13 19:10 18


ახალი გასაქმების უ. რ ი ე რ ა

ფეხბურთელთა უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩილის ნაკრებს სათავეში ლ. ალამოსი ჩაუდგა. იმ დროს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ფ. რაერას ძალზე ცოტა მომხრე ჰყავდა. ინგლისში ჩილიელებმა სუსტად ითამაშეს და სამშობლოში დაბრუნებისას ქვეყნის ნაკრები და მისი მწვრთნელი სასტიკად გააკრიტიკეს. პრესამ მხოლოდ ახლა აღიარა: რიერა რომ ყოფილიყო, ჩილის ნაკრები ასე უსუსური როდი იქნებოდა. მაგრამ ფ. რიერა ამჟამად პორტუგალიას ცნობილ კლუბს — ლისაბონის „ბენფიკას“ წვრთნის. მისი ყოფილი კლუბი „უნივერსიდად კათოლიკა“ კი ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს. რამდენიმე წელი მოანდომა რიერამ ამ გუნდის გაძლიერებას და ბოლოს თავისას მიადგია, „უნივერსიდად კათოლიკა“, რომელსაც ამჟამად რიერას აღზრდილი ვიდალი წვრთნის, სხვა კლუბებისაგან გამოირჩევა თამაშის თანამედროვე მანერით. მხოლოდ VII ადგილზე იმყოფება „უნივერსიდად დე ჩილი“, რომელსაც ლ. ალამოსი უდგას სათავეში. ისევე დიდი კონტრასტია რაერასა და ალამოსის ნამოყვარელს შორის, რომ გასაგები ხდება ჩილის სპორტული პრესის რიერასადმი ასეთი დამოკიდებულება.

„ჩილიელი გულშემატკივრებმა მოითხოვეს რიერას დაბრუნება ნაკრებში“, — წერს ფრანგული „მონტრეალ“ დღე ფურცალი“. ჩვენ გვჯონია, რომ ეს ასეც მოხდება.

(საქ. ინფ.)

რედაქტორი მ. კაპაბაძე.



ხელაშრი. სპორტის სასახლე. ვაუთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. 20 დეკემბერი. საქართველო (ნაკრები) — იუგოსლავია. დასაწყისი 19 ს. სსრ კავშირი (ნაკრები) — უნგრეთი. დასაწყისი 20 ს. 15 წ.

ფეხბურთი. არმიის სპორტკლუბის სტადიონი (შუთიანის ქ. № 57). სპორტის დამხმარებელი ოსტატის ვ. მარდიანის განამაშების ნახევარფინალური მატჩი. „ნორჩი დინამოელი“ — რუსთავი (ნაკრები). დასაწყისი 15 ს. 30 წ.



ვაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეკემბრისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-85-47. კასუისმკვებელი მდივანი — 8-95-80, სპორტული და ფეხბურთის განყოფილება — 8-95-41, შაბობრივ — ფიჭულტურული, მონაწილე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მე-მანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომცემი — 8-95-81.